27/02/2026

MES 0 26 0000238004

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი; საბჭოს მდივანი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა:
ეკა გოგალაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლა:
ვლადიმერ შენგელია - სკოლის დირექტორი
სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა:
მარინა ისკაკოვა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა:
თეა გაბელაია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა:
ირმა მგელაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა:
ნანა ბეჟაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლა:
მარიამი რობაქიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა:
ირმა კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა:
ლელა ქობულაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლა:
კობა ბარდაველიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა:
ა) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №1 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 13 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს სხდომას ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი. დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, მისი ფუნქციები შეასრულა საბჭოს წევრმა, ირმა ამირანაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 13 თებერვალი.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა

1.სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მამფორიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 15 და 16 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1691971 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 350 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 150.
ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“, ვინაიდან კომპონენტები 3.1 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით. მისი თქმით, „მეტწილად“ შეფასდა 3.2 და 3.4 კომპონენტები.
ექსპერტის, მაკა მამფორიას, განცხადებით, სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა იქვე დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მე-10 გვერდზე „სტანდარტი 3“ - თან მითითებული იყი სიტყვა „ხარვეზი“ ნაცვლად „რეკომენდაციისა“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაციების უმეტესობა სკოლას შესრულებული ჰქონდა. თუმცა, მისი თქმით, შეუსრულებელი რჩებოდა შემდეგი საკითხები: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვება, სკოლის რეაბილიტაცია და პანდუსის მოწყობა.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული პროფორიენტაციისა და სახელობო საქმიანობის აქტივობებში. ასევე, სკოლაში გამოკვეთილი იყო თანამშრომლობაზე დაფუძნებული კულტურა, ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა ერთ-ერთი რეკომენდაციით, კერძოდ, რა იგულისხმებოდა სკოლის რეაბილიტაციაში და შეძლებდა თუ არა სკოლა საკუთარი ფინანსური რესურსებით სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.
ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარი ფინანსური რესურსით რეაბილიტაციას ვერ განახორციელებდა და ამ მიმართულებით მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო. მისი თქმით, სკოლას ესაჭიროებოდა სრული რეაბილიტაცია. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული იყო რჩევები ტრანსპორტის მომსახურების შეთავაზებასა და წყლის დისპენსერის განთავსებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაბა ახალდაბას არ მიეწოდებოდა წყალი და მშობლები თავად უზრუნველყოფდნენ სასმელი წყლის გატანებას მოსწავლეებისთვის და დაინტერესდა, ამ საკითებთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა რაიმე სიახლე სკოლას. ასევე, მიმართა თუ არა დაწესებულებამ შენობის რეაბილიტაციის საკითხზე შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას.

სკოლის დირექტორმა, ეკა გოგალაძემ, აღნიშნა, რომ გეგმავდნენ წყლის დისპენსერების შეძენას, ხოლო ტრანსპორტის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიმართა მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. რეაბილიტაციათან დაკავშირებით, მისი განმარტებით, ჰქონდათ მრავალგზის კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებათან, თუმცა სკოლა არ იყო გათვალისწინებული მიმდინარე წლის სარეაბილიტაციო სკოლების ნუსხაში.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლაში კვალიფიციური მასწავლების დასაქმებასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის თქმით, რეგიონში დაწყებითი კლასების კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტი იყო. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები, თუმცა არავინ დაინტერესებულა. ამიტომ დაასაქმეს ორი მაძიებელი მასწავლებელი, რომლებიც გეგმავდნენ შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:42
დასრულების დრო: 14:44

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის (ს/კ: 226152533) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერშისტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერების და სკოლის რეალურად მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობაში მოყვანის, სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების, შესაბამისი აქტივოებების და შესრულების გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრის, პერსონალის განვითარების, 2027 წლის სექტემბერში სკოლის პერსონალის კვალიფიციური კადრებით (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები) დაკომპლექტების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, ადაპტირებული სველი წერტილისა და შიდა ლიფტის/პანდუსის მოწყობის და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1766219 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 120 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 107. მისი თქმით, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა სამ მისამართზე - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემი, ნანჯარუს უბანი და ლეჟას უბანი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სადემონსტრაციო ნაკვეთი, ჰყავდა მოტივირებული და მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და მოსწავლეები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ოლიმპიადასა და სპორტულ ღონისძიებაში.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“, ვინაიდან კომპონენტი 3.5 შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით. მისი თქმით, „მეტწილად“ შეფასდა 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტები.
ექსპერტის, გიორგი ნებიერიძის განცხადებით, სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ამორტიზებული შენობები. ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა, უფუნქციო შენობების დემონტაჟის თაობაზე.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების და ადაპტირებული გარემოს მოწყობისა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო ამორტიზებული შენობების დემონტაჟთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლას დაწყებული ჰქონდა შესაბამისი პროცედურები და სექტემბრიდან გეგმავდნენ შენობების დემონტაჟს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:56
დასრულების დრო: 14:59

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის,

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის №1 საჯარო სკოლის (ს/კ: 242735974) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 23 ოქტომბრის N1414716 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა მასწავლებელთა სავალდებულო ცნობები, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.
დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა სავალდებულო ცნობები და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მარინა ისკაკოვამ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დროს რამდენიმე მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები და აღნიშნული წარმოადგინეს დათქმულ ვადაში, ასევე, შედგენილი ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია რისთვისაც ელოდნენ შესაბამის დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის

შესახებ დასკვნა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 26 ივლისს დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1414716 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:07

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 23 ოქტომბრის N1414716 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა.

4. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 ოქტომბრის N1295772 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, კონკურსის წესით ექიმის შერჩევის და ვებ-გვერდის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ექიმის კონკურსის გამოცხადებისა და ვებ-გვერდის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ექიმის დასაქმების მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, თეა გაბელაიას, თქმით, სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა, ვინაიდან აღნიშნული სცდილდებოდა სკოლის ფინანსურ შესაძლებლობებს და

ელოდნენ მხარდაჭერას სხვა უწყებისგან. ექიმთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლა ახორციელებდა სწავლას ორ ცვლაში და ვინაიდან ექიმის ანაზღაურება იყო დაბალი, ექიმის პოზიციაზე დასაქმების მსურველები არ ჰყავდათ. სკოლამ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეათანხმა ექთნის შტატი და დაასაქმა ექთანი. საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა ექთნის დასაქმების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის თქმით, ექთანი დაასაქმეს 2025 წლის დეკემბრის თვეში და დამადასტურებელი მტკიცებულება არ ჰქონდა წარმოდგენილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) და რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, განმარტა, რომ ვინაიდან სკოლას დასაქმებული ჰყავდა ექთანი, შესაბამისი მტკიცებულება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოედგინა 2026 წლის მარტის თვეში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 ოქტომბრის N1295772 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 04 ოქტომბრის N1295772 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა, ხოლო ექთნის დასაქმების მტკიცებულება 2026 წლის მარტში.

5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ირმა მგელაძემ, აღნიშნა, რომ შეასრულეს ყველა რეკომენდაცია, გარდა სახანძრო სიგნალიზაციის ქსელის მოწყობისა და უახლოეს მომავალში აღნიშნულ ხარვეზსაც აღმოფხვრიდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:18
დასრულების დრო: 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

6. სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სკოლის ვებ - გვედზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და სკოლის ვებ - გვედზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნანა ბეჟაშვილის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა ორი რეკომენდაცია, ერთი რომელიც ეხებოდა ვებ-გვერდს და მეორე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას. მისი თქმით, სკოლამ შეასრულა ორივე რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

7.სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესახებ დასკვნა და ვებ-გვედზე სრულყოფილი ინფორმცაიის განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულება.
დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების მტკიცებულება და სახანძროს შესაბამისობის აქტი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენელს პოზიცია არ დაუფიქსირებია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:28
დასრულების დრო: 15:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის დეკემბრისა.

8. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ადაპტირებული გარემოსა და ადაპტირებული სველი წერტილის უზრუნველყოფის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი (ხარჯთაღრიცხვა), შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ადაპტირებული გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით გაგზავნილი კორესპონდენციები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ირმა კაპანაძის თქმით, რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, მისი თქმით, სკოლის შენობას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია და ელოდნენ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის

შესახებ დასკვნა; ადაპტირებული გარემოს მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:38

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

9. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ლელა ქობულაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2023 წელს. სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, მოიპოვეს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში მითითებული იყო, რომ სახანძრო ნორმები არ შეესაბამებოდა სტანდარტებს.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, აღნიშნული დასკვნის მოპოვების შემდგომ რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ და მიიღეს თუ არა განახლებული, მეორე დასკვნა.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლას არ მიუღია მეორე დასკვნა, თუმცა პირველ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებული ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 22023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-8 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრისა.

10. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულად მუშაობისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილობები შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან, თუმცა ვერ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულად მუშაობისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, კობა ბარდაველიძემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხებოდა ინფრასტრუქტურულ საკითხებს, თუმცა ვინაიდან სკოლას ესაჭიროებოდა ფინანსური მხარდაჭერა, გადადგმული ჰქონდათ შესაბამისი ნაბიჯები და ელოდნენ შემდგომ რეაგირებას მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
რეკომენდაციაში, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულად მუშაობა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:52

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრისა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი, საბჭოს მდივანი
ამირანაშვილი ირმა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე